საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-763

26/08/2020

ქ. თბილისი

სს კორპორაცია ,,ფოთის საზღვაო ნავსადგურის" „ახალ ღრმაწყლოვან მრავალფუნქციურ ნავსადგურში ახალი ნაყარი ტვირთების ტერმინალის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე“ სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“, მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.5 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, სს კორპორაცია ,,ფოთის საზღვაო ნავსადგურის" „ახალ ღრმაწყლოვან მრავალფუნქციურ ნავსადგურში ახალი ნაყარი ტვირთების ტერმინალის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე“ სკოპინგის დასკვნა №71 (14.08.2020);
2. სს კორპორაცია ,,ფოთის საზღვაო ნავსადგურმა" სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №71 (14.08.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს კორპორაცია ,,ფოთის საზღვაო ნავსადგურს";
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს კორპორაცია ,,ფოთის საზღვაო ნავსადგურის" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ფოთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი